

ვიკიპედიაში ვკითხულობთ: „პლაგიატი მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში სხვისი შემოქმედების, სხვისი იდეებისა და გამოგონებების გააზრებული მითვისებაა.“ ალბათ, მოგისმენიათ: „ეს წიგნი სხვა წიგნის „გადამღერება“; „ნახე, საავტორო უფლებების დარღვევით დაუწერია“; „წყარო არ მიუთითა და ნაშრომი გაუნულეს“. ეს იმ ციტატების მცირე ჩამონათვალია, ინტელექტუალური ქურდობის აღმოჩენის შემთხვევაში რომ გაიგებთ. ხშირია გახმაურებული ქურდობები, განსაკუთრებით, სამეცნიერო სივრცეში, მაგრამ, ალბათ, მაინც ბოლომდე არ არის ტერმინი „პლაგიატი“ გამიჯნული მიბაძვისაგან და ბოლომდე არც ისაა დადგენილი, ვინ შეიძლება, მივიჩნიოთ პლაგიატორად.

ეს საკითხი ხშირად გამხდარა აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი. ზოგი იღიმის, ზოგი აკრიტიკებს და ზოგიც არაფრად აგდებს ინტელექტუალურ ქურდობას. ქართული ანდაზის თანახმად, ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდია. ჩვენ კი დავსვამდით შეკითხვას: აზრის ქურდიც ქურდია? მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ტიპის ქურდობა დასჯადი უნდა იყოს და ტერმინი „ქურდიც“ - აუცილებლად გამოყენებული. სტუდენტური სამუშაოს შესრულების პროცესში, როდესაც რეფერატი, შუალედური, ფინალური, ან, თუნდაც, საბაკალავრო ნაშრომი გვაქვს დასაწერი, სტუდენტებს გვავიწყდება, რომ აზრის ქურდიც ქურდია. ბევრჯერ შეხვდებით „ვორდში“ წითელი ხაზებით აჭრებულ ტექსტს, ან სხვა ტიპის ასობგერებს, რაც პლაგიატზე მიუთითებს და, განა, გეცინება, არა, გეტირება შენი კურსელის მოუხერხებლობა. ხომ შეიძლებოდა, ისე მაინც „გადმოეკოპირებინა“, რომ ლექტორი არ დაეჭვებულიყო...

საკითხს გართულება ნამდვილად არ სჭირდება, მაგრამ, ვფიქრობ, რომ პლაგიატთან ბრძოლა, ისევე როგორც სხვა დანაშაულთან, აუცილებელია. უნდა ასწავლოს სკოლამ მოსწავლეს, ლექტორმა სტუდენტს, აღმზრდელმა აღსაზრდელს, რომ ნებისმიერი წიგნი, ნაშრომი, ლექსი, სტატია ავტორის საკუთრებას წარმოადგენს, რისი ხელყოფა და მითვისება დანაშაულია. აღმოჩენის შემთხვევაში ლექტორმა აუცილებლად უნდა მიუთითოს, რომ ეს არასწორია, მეტიც, დანაშაულია და მარტივი გზით შექმნილი ნაშრომით სტუდენტი ფონს ვერ გავა.

ზოგჯერ სტუდენტს ჰგონია, რომ ლექტორი არ შეამოწმებს, ვერ მიხვდება, პლაგიატია თუ არა ტექსტი, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი ხომ ისაა, რომ სტუდენტს კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ჰქონდეს საკუთარი საქმიანობის მიმართ. მნიშვნელოვანია, სტუდენტი იყოს პასუხისმგებელი და სწორი მორალური ღირებულებების მქონე, გრძნობდეს, რამდენად მნიშვნელოვანია სხვისი ნაფიქრისა და ნააზრევის დაფასება და წყაროს მითითება.

ბრძოლის გზებზე ზემოთ, ასე თუ ისე, უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ მნიშვნელოვანია, მეტი სიცხადისთვის მოვიყვანოთ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი იმის დასადასტურებლად, რომ ინტელექტუალური ქურდობა დანაშაულია და მისი ჩადენა - კანონდარღვევა. თუკი სახლში, რომელიც

ადამიანის საკუთრებაა, სხვისი შეჭრა და ნივთების დატაცება დანაშაულია და კანონით ისჯება, რატომ არ ვთვლით, რომ სხვისი სტატიიდან, მონოგრაფიიდან, დისერტაციიდან აზრის მოპარვა და დატაცება ისეთივე ქურდობაა, როგორც - ზემოთ ნახსენები. ვფიქრობ, მარტივი გზით თავის დამცვენას ადამიანი სკოლაში ეჩვევა, არადა, სწორედ სკოლა უნდა ახდენდეს მოსწავლის ღირებულებების ფორმირებას, პასუხისმგებლიან და კეთილსინდისიერ მოქალაქედ უნდა აყალიბებდეს მას. მხოლოდ მაშინ შეძლებს უნივერსიტეტი, კიდევ უფრო მეტი ღირებულება შესძინოს ახალგაზრდას. პლაგიატს რომ თავი ავარიდოთ, უნივერსიტეტში რიგიანად უნდა ისწავლებოდეს აკადემიური წერა, საგანი, რომელიც შეასწავლის ახალგაზრდას, როგორ გამოიმუშაოს საკუთარი წერის სტილი და თავი აარიდოს პლაგიატს. მაგრამ ნათელია, რომ პლაგიატი არამარტო 21-ე საუკუნის სენია, რაც ყოველდღიურად გვხვდება ინტერნეტში მედიასაშუალებებსა თუ სამეცნიერო ნაშრომებში, არამედ ერთი საუკუნის წინ დაწერილ ტექსტებშიც. მნიშვნელოვანია უცხოური ქვეყნების პრაქტიკის გაზიარება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არსებობს, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, „ხარისხის კოდექსი“, სადაც მკაფიოდ და გასაგებადაა ჩამოყალიბებული პლაგიატის მიმართ დამოკიდებულება. ასე ხდება სხვა ქვეყნებშიც: გერმანიაში სპეციალურად სწავლობენ თანამდებობის პირების დისერტაციებს, დარღვევის შემთხვევაში უგზავნიან უნივერსიტეტებს, რომლებიც მაშინვე რეაგირებს ფაქტზე. შექმნილია სპეციალური საიტები, სადაც განთავსებულია სამეცნიერო ნაშრომები და სპეციალური სამსახურები ანალიზებენ მათ.

ინტელექტუალურ ქურდობასთან ბრძოლა პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მცდელობაა. სამყარო სავსეა პლაგიატის ფაქტებით, საერთაშორისო პრაქტიკა კი გვაძლევს მაგალითს, როგორ ვებრძოდეთ ამ „უკურნებელ სენს“. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოშიც შეიქმნას ორგანიზაციები, რომლებიც შეისწავლის, გამოავლენს და საჯაროდ გამოიტანს მსგავს ფაქტებს. გამომზეურება და სასჯელი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ამ ბრძოლაში. პლაგიატი დანაშაულია, აზრების ქურდობა - პრობლემა.